

ქიმია

(დავალებათა ნიმუშები)


1. მოცემული მოვლენებიდან რომელია ქიმიური მოვლენა?

- ა) რკინის ლურსმნის დამაგნიტება;
- ბ) რკინის ლურსმნის დაჟანგვა;
- გ) რკინის მავთულში დენის გატარება;
- დ) რკინის მავთულის დახვევა.

სწორი პასუხია: ბ)

2. მოცემულია ერთ-ერთი ელემენტის ატომის მოდელი: მოცემულ სქემაზე რომელია ნეიტრონი?

- ა) I
- ბ) II
- გ) III
- დ) II და III



სწორი პასუხია: გ)


3. რამდენი ატომია ნივთიერების მოლეკულაში, რომლის ფორმულაა



- ა) 3
- ბ) 7
- გ) 8
- დ) 12

სწორი პასუხია: გ)

4. დააკვირდით რეაქციის სქემატურ გამოსახულებას:



ქიმიურ რეაქციათა რომელ ტიპს შეიძლება მივაკუთვნოთ ასეთი რეაქცია?

- ა) დაშლის;
- ბ) შეერთების;
- გ) ჩანაცვლების;
- დ) მიმოცვლის.

სწორი პასუხია: ა)

5. რომელი ელემენტი მდებარეობს პერიოდული სისტემის მე-2 პერიოდსა და მე-6 ჯგუფში?

- ა) ნახშირბადი;
- ბ) ჟანგბადი;
- გ) კალციუმი;
- დ) ბარიუმი.

სწორი პასუხია: ბ)

6. მოცემული ნივთიერებებიდან რომელია სუნთქვისათვის აუცილებელი?

- ა) აზოტი;
- ბ) წყალბადი;
- გ) ჟანგბადი;
- დ) ნახშირორჟანგი.

სწორი პასუხია: გ)

7. ჩამოთვლილთაგან რომელია კალიუმის ოქსიდის ქიმიური ფორმულა (კალიუმი ერთვალენტიანი ელემენტია)?

- ა) K_2O
- ბ) KO
- გ) Ca_2O
- დ) CaO

სწორი პასუხია: ა)


8. ალკენების ზოგადი ფორმულაა C_nH_{2n} .

ჩამოთვლილთაგან რომელი ნახშირწყალბადი მიეკუთვნება ალკენებს?

- ა) C_3H_8
- ბ) C_4H_8
- გ) C_5H_{12}
- დ) C_6H_6

სწორი პასუხია: ბ)

9. მოცემულია ნივთიერების ფორმულა:



ორგანულ ნაერთთა რომელ კლასს მიეკუთვნება ეს ნივთიერება?

- ა) ამინებს;
- ბ) ალდეჰიდებს;
- გ) კარბონმჟავებს;
- დ) სპირტებს.

სწორი პასუხია: დ)

10. ჩამოთვლილთაგან რომელია ნახშირწყალი?

I – გლუკოზა; II – სახამებელი; III – ცელულოზა.

- ა) როგორც I, ასევე II;
- ბ) როგორც I, ასევე III;
- გ) როგორც II, ასევე III;
- დ) სამივე.

სწორი პასუხია: დ)